საზოგადოება ივერიისა

"მახათას მთაზე, თბილისში, შენდება ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და სავანე. ეს არის შეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში: ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში... წმიდა სამების ტაძრის შემდეგ ეს არის ქართველი ხალხის მეორე ავტოპორტრეტი".



WWW.IVERIISA.GE

“საზოგადოება ივერიისა”

„საზოგადოება ივერიისა“, რომელიც 2010 წელს მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არაერთი პროექტის განხორციელებაშია ჩართული. მან საქმიანობა დაიწყო მახათას მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე ტაძრის მშენებლობაში საზოგადოების გაერთიანებით.

საზოგადოებას ჰყავს ქტიტორთა სათათბირო, რომლის წევრები არიან: მერაბ კოკოჩაშვილი, ლია სტურუა, ნინო სუხიშვილი, დავით ლორთქიფანიძე, ზაზა აბაშიძე, ნინო ქაჯაია, გიორგი თევდორაშვილი, ლევან კოღუაშვილი, კოტე ჯანდიერი, რუსუდან ფეტვიაშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ნიკოლოზ რაჭველი, გურამ დოჩანაშვილი ანზორ ერქომაიშვილი და ელდარ შენგელაია.

“საზოგადოება ივერიისა”

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ამოცანა ეროვნული ფასეულობების წარმოჩენა, გაცნობიერება და ფართო საზოგადოებაში მათი კომუნიკაციაა. ამ საერთო და დიდი მიზნის კარგი გამოხატულებაა მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობა და მასში მთელი საქართველოს ჩართვა. ეს ტაძარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მთელი ერის მადლიერების გამოხატულებაა. ღვთისმშობელი საქართველოში ქრისტიანობის შემომტანია, რომელიც ჩვენი ეროვნული ფასეულობის საფუძველთა საფუძველია. პროექტმა მთელი საქართველო გააერთიანა იმ მიზნით, რომ პატივი მიეგოთ ქრისტიანობის შემომტანისთვის. ეროვნული ფასეულობების წარმოჩენა ჩვენმა საზოგადოებამ სწორედ ამ რელიგიური პროექტით დაიწყო. თუმცა, ეს არის არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ეროვნული ფასეულობითი პროექტიც რადგან ქრისტიანობა, და კონკრეტულად მართლმადიდებლობა, გახლავთ ჩვენი ეროვნული ფასეულობების საფუძველი.



ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი ამოქმედდა 2019 წლის მაისში.

WWW.IVERIISA.GE

ღვთისმშობლის სავანე მახათას მთაზე

ტაძრის კურთხევა - 2019 წელი. 12 მაისს

WWW.IVERIISA.GE



WWW.IVERIISA.GE

კულტურულ-საგანმანათლებო ცენტრ-მუზეუმის პროექტი

მახათას მთის სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსი ასევე ითვალისწინებს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ-მუზეუმის მშენებლობას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო, ეკლესია და საზოგადოება ერთობლივად განახორციელებს 2019 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად. არსებითად საუბარია ეროვნული საგანძურის ცენტრის შექმნაზე, რომელიც უშუალოდ მის წარმოჩენასთან ერთად გახდება მისი სამეცნიერო და საკომუნიკაციო ცენტრი.

აქვე, გვსურს განსაკუთრებით გამოვყოთ აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე შექმნილი სამეურვეო საბჭო, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფოს, ეკლესიისა და საზოგადოების თანამშრომლობის უპრეცედენტო, უნიკალურ მოდელს.

ურთიერთთანამშრომლობის სამმხრივი მემორანდუმის შესაბამისად, „საზოგადოება ივერიისა“-მ 2019 წლის ივნისში გამოაცხადა საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი. საკონკურსო კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „საზოგადოება ივერიისა“-ს წარმომადგენლებისაგან, მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, გამარჯვება მიანიჭა პორტუგალიელი არქიტექტორის ლუიშ ტავარეს პერეირას („აინდა არქიტექტურა“) მიერ წარმოდგენილ პროექტს. „საზოგადოება ივერიისამ“ სრულად დააფინანსა გამარჯვებული პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შექმნის სამუშაოები.

WWW.IVERIISA.GE

2019 წლის 8 მაისი

საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „საზოგადოება ივერიისა“-ს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი



WWW.IVERIISA.GE

კულტურულ-საგანმანათლებო ცენტრ-მუზეუმი

WWW.IVERIISA.GE

2025 წლის 15 ოქტომბერს „საზოგადოება ივერიისამ“ მის საკუთრებაში არსებული ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრ-მუზეუმის კონცეპტუალური დიზაინის პროექტი და მასთან დაკავშირებული ყველა უფლება კულტურის სამინისტროს უსასყიდლოდ გადასცა.

ამ გადაწყვეტილების მიზანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში კულტურის სამინისტროს საქმიანობის მხარდაჭერაა.

„მადლობა მინდა გადავუხადო „საზოგადოება ივერიისას“, რადგან დღეს, შეიძლება ითქვას, შეიქმნა პრეცედენტი, როდესაც ქართველი საზოგადოების დაკვეთით წამოწყებული ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი, შემდგომი განვითარებისთვის, სახელმწიფოს საჩუქრად გადმოეცა.

საქართველოს მთავრობასთან, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად, ამ პროექტს სრულად განვახორციელებთ. მასში ჩართულები იქნებიან მეცნიერები, ხელოვანები და მთელი ქართველი საზოგადოება.

ვფიქრობ, ერთობლივი ძალებით, რამდენიმე წელიწადში შევძლებთ ამ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო სამეცნიერო-კულტურული ცენტრის გახსნას", - განაცხადა თინათინ რუხაძემ.

WWW.IVERIISA.GE

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან შეთანხმებით, „საზოგადოება ივერიისა“ ჩაერთო ეროვნულ მუზეუმში განთავსებული ეროვნული საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

ჩვენი ეროვნული საგანძურის, ეროვნული მემკვიდრეობის სწორად წარმოჩენა, გააზრება და საზოგადოებასთან კომუნიკაცია „საზოგადოება ივერიისა“-ს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ პროცესში მნიშვნელოვანია რელიგიისა და მეცნიერების, სარწმუნოების და ცოდნის ურთიერთკავშირის გააზრება და ჩვენი საგანძურის ორივე მხარის, საკრალური ანუ რელიგიური და მეცნიერული ანუ ინტელექტუალური ნაწილის წარმოჩენა. ამ ცოდნის მთავარი ფუნქცია სამომავლო პერსპექტივისა და გზის სწორად დანახვაა. სწორედ ამიტომ გახდა „საზოგადოება ივერიისას“ საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი ისტორიული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა და მისი გამარტივებული ფორმით საზოგადოებისთვის მიწოდება.

„საზოგადოება ივერიისა“-ს ქვაკუთხედად აღებული აქვს ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამონათქვამი „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღსადგენად“. ამ კავშირის აღდგენით შეგვეძლება გავიგოთ, რას აკეთებდნენ წინაპრები ისეთს, რაც მომავალში დაგვჭირდება. ჩვენი საქმიანობა სწორედ ამ კავშირის ძიება და მისი გაბმაა თანამედროვეობასა და წარსულს შორის.

„საზოგადოება ივერიისა“ს ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული წიგნები

WWW.IVERIISA.GE

















საგანძური

„საზოგადოება ივერიისა“-ს მხარდაჭერით გამოიცა წიგნი „შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“ ქართულ და ინგლისურ ენაზე (ავტორი - ნანა ბურჭულაძე). მასში წარმოჩენილია ხელოვნების მუზეუმში დაცული ჩვენი ქრისტიანული მემკვიდრეობა.





WWW.IVERIISA.GE

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა

„საზოგადოება ივერიისა“-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, კვლევასა და უმაღლესი სტანდარტებით წარმოჩენას.

"საზოგადოება ივერიისას" ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა ქართული და ინგლისურენოვანი წიგნი. ეს არის უხვად ილუსტრირებული გამოცემა, რომელიც მკითხველს აცნობს უნიკალურ ქართულ ხელნაწერებს, ჩვენი საგანძურის როგორც საკრალურ, ისე მეცნიერულ მნიშვნელობას.







WWW.IVERIISA.GE

აფხაზეთი

„საზოგადოება ივერიისა“-მ, დააფინანსა სამეცნიერო პუბლიკაციის „აფხაზეთი“ (საქართველოს ეროვნული მუზეუმში დაცული ძეგლების მიხედვით) მომზადებისა და ბეჭდვის პროექტი.



WWW.IVERIISA.GE

ქრისტეს მეგობრები

„საზოგადოება ივერიისას" მხარდაჭერით გამოიცა ისტორიის დოქტორისა და ხატმწერის, მაკა ჩხაიძის წიგნი „ქრისტეს მეგობრები". წიგნი, როგორც გამორჩეულ წმინდანთა ცხოვრების გზამკვლევი, ერთნაირად სასარგებლო იქნება როგორც პატარებისთვის, ასევე უფროსებისთვის.

მართლმადიდებელ ეკლესიაში წმინდანთა თაყვანისცემის ტრადიციის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი მათ მიბაძვაში მდგომარეობს. წმინდანთა ცხოვრების გაცნობა ადამიანს პიროვნულ და სულიერ ზრდაში ეხმარება, ასევე საკუთარი იდენტობის გააზრებასა და სწორი მსოფლმხედველობრივი ორიენტირების ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს.

„საზოგადოება ივერიისას" მთავარი მიზანი სწორედ ფასეულობებზე დაფუძნებული განათლების ხელშეწყობაა, ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, მხარი დაგვეჭირა ამ წიგნის გამოცემისთვის.

WWW.IVERIISA.GE

წმინდა ილარიონ ქართველი

„საზოგადოება ივერიისას“ ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა წიგნი – „წმინდა ილარიონ ქართველი“. წიგნში წარმოდგენილია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის, ილარიონ ქართველის (IX ს.) „ცხოვრების“ ხუთი რედაქცია და მისდამი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც წმინდანის გარდაცვალების დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ბოლომდეა შექმნილი, ასევე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევრის, მანანა დოლაქიძის 1974 წელს შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ილარიონ ქართველის შესახებ.



WWW.IVERIISA.GE

შუა საუკუნეების ქრისტიანული საგანძურის კოლექცია

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობის ფარგლებში, „საზოგადოება ივერიისა“-ს მხარდაჭერით მოხდა შუა საუკუნეების ქრისტიანული საგანძურის კოლექციის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შენობაში გადმოტანის პროცესის ხელშეწყობა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

„საზოგადოება ივერიისა“ს და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლობის ერთ-ერთი მიმართულებაა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაზე ზრუნვა. „საზოგადოება ივერიისა“-ს მხარდაჭერით დამზადდა და ხელნაწერთა ცენტრს საჩუქრად გადაეცა თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი საგამოფენო სტენდები და ვიტრინები. ახალი ვიტრუნები უკეთ უზრუნველყოფს უნიკალური ხელნაწერი წიგნებისა და დოკუმენტების დაცვასა და წარმოჩენას.

საზოგადოებრივი ფასეულობითი განათლების პროგრამა

წარსულის გათვითცნობიერებისა და ანალიზის მიზნით შემუშავდა საზოგადოებრივი განათლების ფასეულობითი პროექტი, რომელიც საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ისახავს მიზნად, რათა ადამიანები გაერკვნენ იმაში, თუ რა არის მათი იდენტობა, ვინ არიან და რას უნდა ემსახურონ. სპეციალურად მოწვეული ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, თეოლოგები ამუშავებენ კულტურულ და რელიგიურ ფასეულობებთან დაკავშირებულ საკითხებს, სწავლობენ მათ მნიშვნელობას საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების განვითარებისათვის, როგორც წარსულში ასევე თანამედროვე პირობებში, იკვლევენ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების გამაერთიანებელ თუ განმასხვავებელ ნიშნებს. მიღებული და გაანალიზებული ცოდნის საფუძველზე კი შექმნილია სალექციო კურსი, რომელიც 2010 წლიდან დღემდე 4,000-მდე ადამიანმა მოისმინა.

დიალოგები

- წმინდა გიორგის ქართულ-ბრიტანულ სკოლასთან ერთად ხორციელდება საპილოტე პროგრამა სკოლაში ფასეულობითი განათლების პროგრამის შეტანით, რომელიც პლატონის დიალოგების ანალოგითაა შექმნილი და ბავშვებს სხვადასხვა კლასში აზროვნების საფუძვლებს ასწავლის.
- ამასთანავე, მომზადდა ერთწლიანი შემეცნებითი კურსი მოზარდებისთვის, რომელიც სოკრატული დიალოგის მეთოდით ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, თვითშემეცნებასა და ეროვნული იდენტობის გააზრებას, რათა ახალგაზრდებმა დამოუკიდებლად იაზროვნონ, ჩამოიყალიბონ მყარი ღირებულებები და პასუხისმგებლიან მოქალაქეებად განვითარდნენ.

ჟურნალი „გული გონიერი“

„საზოგადოება ივერიისას“ მხარდაჭერით გამოიცემა საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“. ის რამდენიმე წელია გამოიცემა, თუმცა, ახლახან განახლდა მისი ფორმატი და თემატიკა. ამჟამად ჟურნალი მსოფლმხედველობრივ და იდენტობის პრობლემატიკაზე კონცენტრირდება. მისი ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია „საზოგადოება ივერიისას“ ვებგვერდზე.

https://www.iveriisa.ge/ka/paseuloba/



WWW.IVERIISA.GE

მსოფლმხედველობრივი საუბრები

„საზოგადოება ივერიისამ“ სოციალურ ქსელში დაიწყო მსოფლმხედველობრივი საუბრების ციკლი.

რა ღირებულებას ატარებს ეს პროექტი?

ჩვენი მიზანია იმ ფასეულობების გაცოცხლება და გააზრება, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო და დღესაც ჩვენი ეროვნული სიმტკიცის საძირკველს წარმოადგენს.

ამ პროექტის ფარგლებში მოწვეული ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, თეოლოგები, ფილოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები ამუშავებენ თემებს, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ იდენტობასთან, კულტურასთან, ისტორიასთან, სარწმუნოებასთან, ეროვნულ მსოფლმხედველობასთან და თანამედროვე ეპოქის გამოწვევებთან.

ვიდეოსაუბრების ეს ციკლი ხელს შეუწყობს ქართული მემკვიდრეობისა და მსოფლმხედველობრივი საფუძვლების უკეთ გააზრებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას და იმ რთულ კითხვებზე პასუხების ძიებას, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი საზოგადოება დგას.

SOCIETY IVERIISA

@SocietyIveriisa • 2.12K subscribers • 142 videos

More about this channel ...more

Subscribed

WWW.IVERIISA.GE

ქეთევანი - დედოფლის დაბრუნება

WWW.IVERIISA.GE

თანამედროვე ეპოქაში საკუთარი იდენტობის გაცნობიერება, ილიას რომ მივუბრუნდეთ, ჩვენი იდენტობის აღდგენა გვჭირდება. უნდა ვიპოვოთ დაკარგული, „გავწმინდოთ“ და წარმოვაჩინოთ, ამ მიზნით კი „საზოგადოება ივერიისა“ მუშაობს ახალ პროექტზე, რომლის მიზანია წინ წამოვწიოთ ის პიროვნებები ჩვენს ისტორიაში, ვინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი იდენტობის განსაზღვრაში, რათა ადამიანებს დავანახოთ როგორ აზროვნებდნენ მისი წინაპრები, რას ანიჭებდნენ ისინი უმთავრეს, გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამ პროექტის ნაწილია „საზოგადოება ივერიისა“-ს მხარდაჭერით გადაღებული დოკუმენტური ფილმი ქეთევან დედოფალზე: „ქეთევანი - დედოფლის დაბრუნება“, რომელიც დედოფლის მოწამებრივი აღსასრულიდან **400** წლისთავს მიეძღვნა.

„ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“



„საზოგადოება ივერიისა“-ს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა ხატი „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“.

საზოგადოების ინიციატივით, საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად, დაიგეგმა და განხორციელდა ამ ხატის ასლის მოგზაურობა საქართველოს ეპარქიებში, სადაც ღვთისმსახურებასთან ერთად გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან და ჩატარდა ლექციები.

ხატის მოგზაურობის დასრულების შემდეგ, სიწმინდე მახათას მთაზე ღვთისმშობლის ტაძარში დაბრძანდა.

WWW.IVERIISA.GE

„საზოგადოება ივერიისა“-მ ქართული საზოგადოების შემოწირულობით საქართველოს ეკლესიაში დაცული სამი დიდი სიწმინდის: მამა გაბრიელის წმინდა ნაწილისთვის, წმინდა გიორგის მუხლისთვის და დავით გარეჯელის წმინდა მადლის ქვის სანაწილეები დაამზადა. ინიციატივა განხორციელდა ქართული საზოგადოების მიერ გაღებული შემოწირულობით. ამ გზით თითოეულ შემომწირველს საშუალება ჰქონდა ჩართულიყო განსაკუთრებული სიწმინდის ღირსეულად წარმოჩენის საქმეში.



WWW.IVERIISA.GE

WWW.IVERIISA.GE

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და „საზოგადოება ივერიისას“ ინიციატივით, 2024 წელს ქართული სიწმინდეები — ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ხატის ასლი და წმინდა მამა გაბრიელის წმინდა ნაწილი — დასავლეთ ევროპის ეპარქიაში ჩაბრძანდა. იტალიის სამ ქალაქში — რომში, ფლორენციასა და ბარიში — ქართველ ემიგრანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ წირვა-ლოცვას და მოელოცათ ჩამობრძანებული სიწმინდეები.

გელათი

დღეს მიმდინარეობს გელათის კონსერვაცია-რესტავრაცია, რომელსაც საპატრიარქოს მიერ შექმნილი დროებითი კომიტეტი ახორციელებს მაღალი დონის სპეციალისტებთან ერთად. პროექტს სრულად სახელმწიფო აფინანსებს და გელათის დროებითი კომიტეტი მართავს. „საზოგადოება ივერიისა“ კი საპატრიარქოს თხოვნით მონაწილეობს პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერასა და საგანმანათლებლო პროექტებში, გელათის არსის წარმოჩენაში, რომელსაც იმიტომ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ის იყო არა უბრალოდ მონასტერი, არამედ ფასეულობითი საგანმანათლებლო კერა, სადაც იყო კავშირი მეცნიერებასა და რელიგიას შორის.

WWW.IVERIISA.GE

ამის გარდა, „საზოგადოება ივერიისა“-ს ფინანსური მხარდაჭერით მზადდება სამეცნიერო ნაშრომი „გელათის სამაგიდო წიგნი“, რომელშიც გაერთიანებულია გელათის ხელოვნება, გელათის აკადემიის მთარგმნელობითი და ლიტერატურული საქმიანობის შესახებ ცნობები, არქეოლოგიური კვლევები, ისტორია, გალობა, ფერწერა, კედლის მხატვრობა, მოზაიკა, არქიტექტურა. გელათურ ხელნაწერებს კი ცალკე თავი აქვს მიძღვნილი.

„საზოგადოება ივერიისა“, ასევე, მონაწილეობს გელათის ახალი გენგეგმის შემუშავებაში, რათა განისაზღვროს თუ როგორ წარმოჩინდება გელათი მნახველისთვის, რა აქცენტების შემოტანაა მთავარი. მუშაობა მიმდინარეობს ფრანგ არქიტექტორთან ერთად.


GELATI REHABILITATION COMMITTEE
მთავარი
ENG
GELATI
ENGLISH
GELATI
ENGLISH
ENGLISH
ENGLISH

გელათის აკადემია

გელათის კომიტეტთან ერთად „საზოგადოება ივერიისა“ მუშაობს აკადემიის განახლებასა და მისთვის მოქმედი ფუნქციის მიცემაზე, რათა ის გახდეს სამუზეუმო და საგანმანათლებლო სივრცე.



WWW.IVERIISA.GE

საზოგადოება ივერიისა

„საზოგადოება ივერიისა“ პროექტებს საზოგადოების ჩართულობით და მიღებული შემოწირულობით ახორციელებს.

თქვენც შეგიძლია გახდეთ ამ მნიშვნელოვანი საქმის თანამონაწილე.

„საზოგადოება ივერიისა“-ს საქმიანობა არის სრულიად გამჭვირვალე.

ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო აუდიტი, რომლის შედეგები „საზოგადოება ივერიისა“-ს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

საზოგადოების ქტიტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს ხალხის შემოწირულობით.

მადლობას გიხდით ყველა შემომწირველს

„საზოგადოება ივერიისა“ | თბილისი, თავისუფლების მოედანი #4

ტელეფონი: +995 32 2 14 04 84 | +995 32 2 44 04 84

info@iveriisa.ge | www.iveriisa.ge

https://www.youtube.com/@SocietyIveriisa

https://www.facebook.com/iveriisa

https://www.instagram.com/iveriisa